საქართველოს საინვესტიციო გარემოს შეფასება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით

მუსეიფ შავერდოვი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია იალიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფინანსები და საბანკო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მაჭავარიანი, მაგისტრი ეკონომიკაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მუსეიფ შავერდოვი

მ. შავერდოვი

15.06.2023

აბსტრაქტი

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი რაოდენობით მოზიდვა. განსაკუთრებით კი ეს საკითხი მნიშვნლეოვანია საქართველოს მსგავს განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, რომლებსაც აქვთ ადგილობრივი დანაზოგების დეფიციტი. თუმცა, თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის კონკურენცია ძალიან მაღალ დონეზეა, რის გამოც სახელმწიფოებს უწევთ მაქსიმალურად მოსახერხებელი ბიზნეს გარემოს შექმნა უცხოელი ინვესტორებისთვის. საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ცდილობს ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნას, როგორც ადგილობრივი ინვესტორებისთვის ასევე უცხოელი ინვესტორებისთვისაც.

საინვესტიციო გარემო არის ძალიან კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს ეკონომიკის, პოლიტიკის, სამართლებრივ, სოციალურ თუ სხვა მნიშვნლეოვან საკითხებს, რომელთა ერთობლივი ურთიერთქმედებაც ქმნის ქვეყნის საინვესტიციო გარემოს. საჭიროა, რომ მოხდეს იმ ძირითადი ფაქტორების შეფასება, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. შესაბამისად, მოცემული ნაშრომის კვლევის მიზანი არის საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს შეფასება უცხოური ინვესტიციებთან დაკავშირებით. კვლევის დროს განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, ასევე გაანალიზებულია საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა და ბოლოს შეფასებულია საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო.

კვლევის დროს გამოყენებული იქნა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდოლოგია და მეთოდები. მეთოდებს შორის გამოყნებული იქნა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, ინდუქცია, შედარება და ანალიზის მეთოდები.

კვლევის შედეგად გამოვლენილია ქვეყანაში არსებული საინვესტიცო გარემო უცხოური ინვესტიციების მიმართულებით ბოლო სტატისტიკურ მონაცემებსა და შეფასებებზე დაფუძნებით; გაანალიზებულია ქვეყანაში არსებული საინვესტიციო მიმზიდველობის პოტენციალი, უპირატესობები და ხელისშემშლელი ფაქტორები; გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო გარემო

Abstract

For the economic development of any country, it is very important to attract a large amount of direct foreign investment. This issue is especially important for countries with developing economies like Georgia, which have a shortage of local savings. However, in the modern global world, the competition for attracting foreign investment is at a very high level, which is why the states have to create the most convenient business environment for foreign investors. Since gaining independence, Georgia has been trying to create an attractive investment environment for both local and foreign investors.

The investment environment is a very complex system that includes economic, political, legal, social and other important issues, the joint interaction of which creates the investment environment of the country. It is necessary to evaluate the main factors that can influence the attraction of foreign investments. The purpose of the research of this paper is to assess the investment environment in Georgia for foreign investors. During the research, The theoretical and methodological foundations of direct foreign investments are discussed, the dynamics of direct foreign investments in Georgia are also analyzed and finally the investment environment in Georgia is evaluated.

During the reaserach, both Both quantitative and qualitative methodology and methods are used. Among the metods, Statistical data analysis, induction, comparison and analysis methods are selected.

As a result of the research, the investment environment in the country has been identified based on the latest statistical data and assessments in the direction of foreign investments; The potential, advantages and hindering factors of investment attractiveness in the country are also analyzed; And finally, the statistical analysis of the dynamics of direct foreign investments in Georgia is analyzed.

Keywords: Direct foreign investments, investment environment